,,მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი...“

1999 წლის იანვარს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, ევროპის სასახლის ტრიბუნიდან ქართულად სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა.

ზურაბ ჟვანიას ეს სიტყვები, როდესაც პირველად გავიგე, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი.

იდენტობის დაკარგვის განცდა თავდაპირველად პროტესტის გრძნობაში გამოიხატა, მე ქართველი ვარ, რატომ უნდა ვიყო ევროპელი ან როგორ ვარ ევროპელი თუ ყოველდღიურად მესმის, რომ მე ვარ ქართველი, საქართველოს შვილი, პატრიოტი, რომელიც საკუთარი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების ერთგული უნდა ყოფილიყო.

ჩემი დაბნეულობა კიდევ უფრო გაამძაფრა ტერმინმა გლობალიზაციამ, რომელიც თავდაპირველად სკოლაში მოვისმინე. სწორედ მაშინ მითხრეს, რომ გლობალიზაცია თავის თავში პატარა კულტურების ასიმილაციასა და შესაძლოა, გაქრობასაც გულისხმობდეს.

ევროპა...

ევროპეიზაცია...

დემოკრატიზაცია...

ინტეგრაცია...

გლობალიზაცია...

საქართველო...

მე ქართველი ვარ...

და ჩემი დაბნეულობა კიდევ უფრო გაიზარდა.

საკუთარ თავთან ჭიდილში ვისწავლე ბევრი რამ და აღმოვაჩინე, რომ სიახლეებისადმი მიმღებლობა არ გულისხმობდა იმ კულტურისა და ტრადიციების დაკარგვას, რომელიც ძველთაგან მოგვდევს. ფეხი უნდა ავუწყოთ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და ღირსეულად დავუმკლავდეთ მათ. თავისუფლებისთვის ბრძოლა წლების მანძილზე ჩვენი წინაპრებისთვის მთავარი გამოწვევა იყო. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, სისხლიანი ბრძოლები ინტელექტუალურმა ომმა ჩაანაცვლა და თუ დღეს თავისუფლება

მოიაზრებს ევროპასთან ინტეგრაციას, გლობალიზაციას, მე მზად ვარ ჩემი წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

პირველი გამარჯვება... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის პირველი კონსტიტუცია... ნაბიჯი თავისუფლებისკენ...

1991 წელი, 9 აპრილი... "ჩვენი გლოვა და ჩვენი ზეიმი", საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა... ნაბიჯი თავისუფლებისკენ...

2008 წელი... ჩვენი გონებისა და სულის ოკუპაციის მცდელობა, გამოხატული მავთულხლართებში... შვილმკვდარი დედები და მაინც, არაღიარებული ოკუპირებული ტერიტორიები... ნაბიჯი თავისუფლებისკენ...

იდენტობის დაკარგვის განცდა და შიში, არასწორი კომუნიკაცია, პოლარიზებული მედია და ძალაუფლებისთვის ბრძოლა... და მაინც, ახალი თაობა, ჩემი თაობა, არაფორმალური განათლება, ტექნოლოგიური პროგრესი... ნაბიჯი თავისუფლებისკენ...

ევროპული სტანდარტი - ეს ჩვენ ვართ, ეს ჩემი თაობაა... მოძრავი, ჯანსაღი, აქტიური, სიახლეებისადმი ლოიალური გაწყობებით და ანტიკონფორმისტი.

და თუ ჩვენი ეროვნული კულტურა და ტრადიციები მუდმივად მოითხოვს გაფრთხილებას და შენარჩუნებას, გეტყვით, რომ თავისუფლება და განვითარებისთვის ბრძოლა ჩვენი კულტურის ნაწილია, რომელიც უხსოვარი დროიდან იდეოლოგიურად თან სდევს ჩვენს სამომავლო განვითარებას და უახლოეს წარსულში ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში კიდევ ერთხელ გამოიხატა. საქართველომ აირჩია ევროპული გზა და ის პერსპექტივაში მუდამ ამ ოჯახის წევრი იყო საკუთარი კულტურით... და თუ ჩვენი მიზანი ძველის შენარჩუნება და პროგრესია, დიახ, მზად ვარ, სინათლის ამ წყაროს შესაქმნელად. ჩვენ მილენიალები ვართ, ჩვენი ჩართულობა ისტორიის შესაქმნელად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამას ყველა არხით შევეცდებით.

სწორედ ევროპასა და საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის და აღნიშნულში ჩემი წვლილის შეტანის სურვილმა გადამაწყვეტინა ჟან მონეს ონლაინ ზამთრის სკოლაში „ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია: საქართველო და ევროკავშირი" მონაწილეობა, რომელიც "ევროპის უნივერსიტეტის" მიერ და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა.

აღნიშნული ზამთრის სკოლით დაიწყო ევროკავშირის ერასმუს პლიუსის ჟან მონეს სამწლიანი მოდულის "ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი“ (620916-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-MODULE) განხორციელება.

აღნიშნული ზამთრის სკოლა მნიშვნელოვანია თავისი არსით, ვინაიდან მასში მონაწილე პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა სიღრმისეულად შეესწავლათ და ემსჯელათ საქართველოსა და ევროპას შორის ურთიერთობაზე, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ევროკავშირსა და მის ინსტიტუტებში. კერძოდ, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991 წლიდან იწყება, მას შემდეგ, რაც დაიშალა სსრკ და საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მნიშვნელოვანი იყო 1996 წლის 22 აპრილის ლუქსენბურგის შეთანხმება: ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ, რომელზეც საკმაოდ ინტენსიური დიალოგი გაიმართა სპიკერებსა და მონაწილე პირებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მოსაზრებებს ვისმენდით პირველი პირებისგან, რომლებიც იყვნენ: ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკანიანი და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პირები, რომელთა საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს. მათ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და ორმხრივი ურთიერთობების ინსტრუმენტებზე, ინსტიტუციებზე, მექანიზმებზე.

ევროკავშირის მაღალი პოლიტიკური პირები და ინსტიტუტები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ "აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივას, რომელზეც გაიმართა განსაკუთრებული დისკუსია ზამთრის სკოლის ფორმატში, მას მოჰყვა ლოგიკური მსჯელობის გაგრძელება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი საქართველოს განსაკუთრებულ ურთიერთობებს სთავაზობს, რაც საერთო ფასეულობების ერთგულებას ეყრდნობა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულება საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებაში შეუწყობს ხელს. ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის

პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს გახდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.

ვისაუბრეთ ოკუპაციის თემაზეც და კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ევროკავშირის როლზე. ოკუპაციის აქტუალიზაცია მოიცავდა არა მხოლოდ 2008 წლის და 1990-იანი წლების მოვლენებს, არამედ - 1918-1921 წლების ხსოვნის გაცოცხლებასა და საბჭოთა ოკუპაციის რეალური სურათის შექმნასაც. რუსეთი გახდა საფრთხე ქართული დემოკრატიისა და ევროპული კურსისთვის, რომელსაც მუდმივად ჰქონდა მცდელობა თავიდან მოეცილებინა პროდასავლური ხელისუფლებები საქართველოდან. ამის ისტორიული მაგალითი სწორედ 1921 წლის თებერვალი და წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია იყო. მისი თანამეროვე გამოძახილი 2008 წლის ომიც, როდესაც რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცადა მისთვის სასურველი სცენარის განხორციელებას.

ჟან მონეს ონლაინ ზამთრის სკოლა "ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია: საქართველო და ევროკავშირი“ არის შესაძლებლობა სიღრმისეულად შეისწავლო საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის მნიშვნელობა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური პერსპექტივები და დემოკრატიის პოზიტიური გავლენა ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობის გზაზე. რაც მთავარია აღნიშნული ფორმატის ფარგლებში გაქვს შესაძლებლობა, რომ კონკრეტული პასუხები მიიღო ევროკავშირისა და საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თუ ინსტიტუტების წარმომადგენლებიდან, რომ ევროპა კი არ ებრძვის იდენტობას, არამედ ის კულტურებისა და ინდივიდუალიზმის შენარჩუნებას უწყობს ხელს. მცირედი დეტალები ქმნიდა მთლიანობას, რომელში ჩართულობითაც, მე ჩემი ქვეყნის თავისუფალი მომავალისთვის ვიბრძოდი.

დასასრულს, ისევ აღვნიშნავ, მე ღრმად მწამს, რომ გონებრივი ოკუპაციის მსხვერპლი ვართ, მაგრამ მჯერა, რომ შევძლებთ გონების გათავისუფლებას მავთულხლართებისგან, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაუბრუნებს არა მარტო ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ გლობალურ თავისუფლებას.

...და დიახ, ბატონო ზურაბ, გონებასთან ჭიდილში აღმოვაჩინე, რომ „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი!“